

გოლო ეტაპზე ამინდგა უმჯობნათ

ტურიზმის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით მრავალ ღონისძიებას აწყობენ „განთიადის“ ცენტრალური საბჭო და ქალაქის ტურიზმის სექცია. მათი ინიციატივით ამ დღეებში მოეწყო III საქალაქო ტურისტული შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის წარმოებულ დაწესებულებების 30 კოლექტივის 350 წარმომადგენელი.



ტურისტთა მხიარულმა ურამულმა გამოაცოცხლა წიწამურის შემოგარენი. მათ აქ მოაწყვეს კარვები და ბანაკის თავზე „განთიადის“ დროშა ააფრიალეს. ხალიხიანად და შინაარსიანად გაატარეს შეჯიბრების დღეები ლაშქრობის მონაწილეებმა. ისინი დღისით ათვალიერებდნენ ახლომდებარე ისტორიულადგილებს; ვარჯიშობდნენ კლდეზე ცოცხასა და მდინარის გადალახვაში, ერთმანეთს ეგებებოდნენ კოცონის ანთებაში, წულის ადუღებაში, დადიოდნენ სათევზაოდ...

გამართლდნენ სინტერესო შეჯიბრებები ტურისტულ სახეობებში. მაგარამ მოხდა ისე, რომ სწორედ დასკვნით ეტაპზე უმჯობესა ამინდმა ლაშქრობის მონაწილეებს: სტარტის მიცემამდე რამდენიმე წუთით ადრე წამოვიდა კოცონის ანთება, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა. ამის გამო შეჯიბრებები არ გაიმართა. მიუხედავად ამისა, შეჯიბრების მონაწილეებს არაოადეს დაავიწყდებოდათ აქ გატარებული დღეები.

რესპუბლიკური ტურისტული შეჯიბრება დაიწყება 24 მაისს. თ. გარნილაძე

ს ლ რ ა თ ე : „განთიადის“ ტურისტები დასვენების დროს.

სა როგორც სპორტის სხვა სახეობებში, ტექნიკური შედეგების განუწყვეტელმა ზრდამ და წვრთნის შინაარსის შეცვლამ აუცილებელი გახადა სპორტული სპეციალისტების შედარებით ადრე ასაიღონ დაწყება, ვიდრე ეს იყო ამ რამდენიმე წლის წინათ. დღეისათვის ძალოსნობაში სპეციალისტების 14-15 წლის ასაკიდან იწყებენ და როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მაღალ სარეკორდო შედეგებს 20-23 წლის ასაკში აღწევენ.

დგას. ეს ამოცანებია: ჯანმრთელობის განმტკიცება, სწორი ფიზიკური განვითარება, მორალური და ნებელობითი თვისებების აღზრდა, ძალოსნობის მოძრაობების ტექნიკური ჩვევების გამომუშავება, პედაგოგიური და პიგონური ჩვევების აღზრდა და ძალოსნობაში სისტემატური მეცადინეობის ინტერესის განმტკიცება. ამ ამოცანების შესრულების შესაბამისად უნდა განისაზღვროს საწვრთნელი მეცადინეობების შინაარსი.

ამ მიზნით მოზარდებთან ფართოდ

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ამ წერილში მოკლედ გავიხატავ შეჯიბრებითი საიტებისზე, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მოზარდ ძალოსნებთან საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარებისას.

პირველყოფისა მოზარდ ძალოსნებთან მეცადინეობების ჩატარებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ასაკობრივი თავისებურებანი. რაც უფრო დაბალია მოზარდების ასაკი, მით უფრო განსხვავდებიან ისინი მოზარდობისაგან კუნთური, სასუნთქი, გულ-სისხლძარღვოვანი და ნერვული სისტემების ფუნქციონალური შესაძლებლობებით. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ასაკის მოზარდების სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობების შინაარსი და მეთოდებიც განსხვავებული იქნება. ამჟამად მიღებულია მოზარდი ძალოსნების ორ ასაკობრივ ჯგუფად დაყოფა — 15-16 და 17-18 წელი. მეცადინეობები ამ ჯგუფებთან ცალ-ცალკე უნდა ჩატარდეს. მაგრამ თუ ეს არ ხერხდება, დასაშვებია ორივე ასაკობრივ ჯგუფთან მეცადინეობების ერთად ჩატარება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ასაკობრივი თავისებურებანი მაინც გათვალისწინებული უნდა იქნას. კერძოდ, მხედველობაში მისაღება დატვირთვის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება.

უნდა იქნას გამოყენებული მძლეოსნობის და ტანჯარაში ვარჯიშები, თამაშები, ცურვა, ტურიზმი, სპეციალური მომზადებიდან მთავარი ყურადღება სამჭიდის მოძრაობების ტექნიკური ჩვევების სრულყოფილად დაუფლებას უნდა მიექცეს. მოზარდებთან მეცადინეობების ჩატარებისას მხოლოდ ეს უკანასკნელია ძირითადი და არა მათი დიდი წონის შტანგაზე ვარჯიში და თანრიგების ჩაბარება.

ამ ასაკის მოზარდებთან სავარჯიშო ოპტიმალურ წონად მიჩნეულია ისეთი წონის შტანგა, რომლის ერთ ცდაზე აწევას მომეცადინე 5-ჯერ შე-

ასეთ ერთფეროვნებას მოზარდ ძალოსნებთან, რომელთაც მალე სწყინდებათ ერთი და იგივე ვარჯიშების სისტემატური შესრულება. ზემოაღნიშნული მოვლენის თავიდან აცილების მიზნით გაკეთდეს სამჭიდის სპეციალურ ვარჯიშებთან ერთად უნდა ჩაირთოს სხვადასხვა ხასიათის ვარჯიშები, რომელთა შესაბამისად შერჩევა მწვრთნელის პედაგოგიურ ოსტატობაზეა დამოკიდებული.

ასეთია მოკლედ ის ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს და რომლებიც უნდა იხელმძღვანელოს მწვრთნელმა მოზარდებთან სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარებისას.

შ. ბუაძე, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდის კათედრის მასწავლებელი.

გეგეჭკორი

ინსტრის საშუალო სკოლაში მოსწავლეთა მიერ მოწყობილი იქნა კალათბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნები, აგრეთვე მძლეოსნობის სექტორები. აოსანიშნავია ისიც, რომ სოფელ ნაღვლისას რეაწლიან სკოლაშიც მოსწავლეთა ძალებით ასეთივე სპორტული ბაზები მოეწყო.

სკოლის დირექციამ შეიძინა სასპორტო ინვენტარი და ჩატარდა შიდასკოლო სპარტაკიადი კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთსა და მძლეოსნობაში.

გ. ლავანავილი

ქობულთი

აქ, აკაკი წერეთლის სახელობის პირველი საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა ქობულეთის სამრეწველო-საწარმოო ზონის პირველობის დასკვნითი ასპარეზობა მაგიდის ჩოგბურთში. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა „განთიადის“, „სპარტაკისა“ და განათლების განყოფილების 7 ფიზკულტურული კოლექტივი.

დაძაბული და სინტერესო ორთაბრძოლების შემდეგ გამარჯვება „განთიადის“ საბჭოს ფიზკულტურულმა კოლექტივმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო მახარაძის ძაღსალებ-საგარეზი ფაბრიკის სპორ-



სად იყვნენ უძლიერესნი?

თბილისის აერობორტის გერთიანებული ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო ერთ-ერთი უძლიერესი იყო „სპარტაკის“ კოლექტივებს შორის. მუშაობდა ფეხბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის, კალათბურთისა და მძლეოსნობის სექციები, ტარდებოდა სპარტაკიადები. ასლა კი... მოუწესრიგებელია კოლექტივის მუშაობა, მრავალრიცხოვანი მუშა-მოსამსახურებიდან საზოგადოების წევრია მხოლოდ 233 კაცი. ფიზკულტურის მეთოდისტი ა. ჩეკულავა უზასუსისმგებლოდ ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას, არ ატარებს საწარმოო ტანჯარჯიშს, გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს უფროსი ასაკის თანამშრომელთა შორის.

აღიღობრივი პროფკავშირული ორგანიზაცია გულგრძლად შესცქერის შექმნილ მდგომარეობას.

ნ. როზაძემ, „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს საორგანიზაციო და კადრების განყოფილების უფროსი.

პედაგოგიურად და მეთოდურად გამართლებული არ არის და არც შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურ მდგომარეობად, რომ საწვრთნელი მეცადინეობები მალაღვიადიფიცირებულ ძალოსნებთან და მოზარდებთან, რომლებიც ახლად იწყებენ მეცადინეობას, ერთად ჩატარდეს. მოზარდს არ შეუძლია სწორად შეაფასოს თავისი ფიზიკური შესაძლებლობანი და ყოველთვის ცდილობს ასწიოს მისი ორგანიზმისათვის შეუფერებელი წონის შტანგა. მოზარდის ამ გრძნობას კიდევ უფრო აძლიერებს უფროსებისადმი მიბაძვა, რომლებიც დიდ წონებზე ვარჯიშობენ. მოზარდების მორტილებთან ერთად მეცადინეობების ჩატარება ანელებს კონტროლის გაწევას. საერთოდ, მოზარდებთან სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარება მთლიანად მკაცრ პედაგოგიურ და საექიმო კონტროლს.

მოზარდებთან სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარებისას არ უნდა გადავიწვიოთ იმ კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშე

საქართველოს სპორტკავშირის II კონფერენციის მასალებიდან

თბილისის მაულ-კამელოსის კომბინატში სათანადო ადგილის უქონლობის გამო მოკვადრაკეთა ტურნირი საპარტიკანტროში ჩატარდა.

სამწუხაროდ, ჭირ კიდევ აქვს ადგილი ისეთ მოვლენებს, როცა ერთი საზოგადოებრივი მერვეში სამუშაოდ გადასულ მწვრთნელს თან მიჰყავს მისი მიერ მომზადებული პერსპექტიული სპორტსმენებიც.

ნ.ბ. გ. იაშვილისა.

ტმენებით. მეორე ადგილზე გამოვიდა ქობულეთის ი. გავარინის სახელობის მე-2 რუსული საშუალო სკოლა.

პირად ჩათვლაში კარგი შედეგი აჩვენეს მამა-შვილმა დ. და გ. სამსონაძეებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ასპარეზობაზე არ გამოცხადდა მახარაძის ჩაის ტექნიკუმის გუნდი, რომელიც საერთოდ სშირად არიდებს ხოლმე თავს ზონალურ ასპარეზობებს.

ლ. ტრაპაძე

წელუქიკა

ქალაქის სტადიონზე ორ დღეს მიმდინარეობდა სარაიონო პირველობა მძლეოსნობაში საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 14-მა კოლექტივმა.

I ჯგუფის გუნდებს შორის გამარჯვება წულუქიკის მე-2 საშუალო სკოლის კოლექტივმა. II ჯგუფში უძლიერესი იყო ღანჩიის საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდი.

ბ. ჯაფარიძე, შეჯიბრების მთავარი მსაჯი,

მედიკოსი

სპორტსმენის გვარი, რომლებიც საკავშირო შეჯიბრებებზე არ იმყოფებიან ღელეობით.

ინსტიტუტმა ორგანიზებულად ჩაატარა შეჯიბრება. პირველ ადგილზე გამოვიდა II კურსის გუნდი. ყველა პირობა იყო შექმნილი ნაკრების წევრთათვისაც, მაგრამ სპორტსმენთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ ისურვა ამ შეჯიბრებებზე მისვლა, რომელიც საბრძოლო წვრთნის საშუალებას იძლეოდა. იმათაც კი, ვინც „მოწყალები გაიღო“ და ასპარეზობაში მონაწილეობდა, თავი ადარ შეიწყუბეს მაღალი შედეგების მიღწევისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი იმდენად ცუდად არიან მომზადდებულნი, რომ უბრალოდ ძალა არ შესწევდათ ეჩვენებინათ თავიანთი, თუნდაც საშუალო შედეგები.

მეგმართო ფეხბურთე: ქალთა შორის სიმალეზე ტტომაში სპორტის ოსტატმა ლ. პატარიძემ მხოლოდ 150 სანტიმეტრი დაძლია. ახევე, ვ. სკობა მეორე თანრიგის შედეგით (2,60 მ) დაკმაყოფილდა ქოქით ტტომაში. მეტად დაბალი იყო სპირინტივი ვაუბის (ვ. ავიძა, ა. ანტონოვი, ე. ლომთაძე), 110 მ თარჯმობრენლების (ი. სანგულაია, ბ. სამოილენკო), შუბის მტყორცნელ ლ. შავგანი და სხვათა მიჩვენებლები. ერთადერთი, ვინც მიმდინარე სეზონში სტაბილურ შედეგებს აჩვენებს, ბირთვის მკვრელი მ. ოუროშიძეა. ამჟერად მან აჩვენა 10,78 მეტრი.

ვერავერს ვუსაყვედურებთ შუბის მტყორცნელებს ლ. ნანიევს და კ. გორძემასვლს, სამშბტომელ ვ. დარახველიძეს. მაგრამ ერთეულზე ბით ვერც კიშინიოვში და ვერც სხვაგან მატჩს ვერ მოვიგებთ.

საქიროა სპორტსმენები მეტი გულისხმიერებით მოკეიდნონ მათ წინაშე მდგომ ამოცანას, თუ სურთ არ შეარცხვინონ რესპუბლიკა.

ი. ახათიანი

სტუდენტები - წარმომავალი

თბილისის ორთქლმავალ - ვაგონ-შემკეთებელი ქარხანა დიდი სპორტული ტრადიციების საწარმოა. აქ მოქმედებს ფეხბურთის, ფრენბურთის, კლათბურთის, შაშის, ჰადრაკის, ველოსპორტის, კიადობის, ძალოსნობის, მძლეოსნობის, ნიჩბოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის, ხელბურთისა და სხვა სექციები, რეგულარულად იმართება საგზააფხულო და საშემოდგომო სპარტაკიადები, შეჯიბრებები საამპროთა შორის.

ლონისძიებთა ჩატარებაში მუდამ დიდ დახმარებას გვიწვევენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი-პრაქტიკანტები. მიმდინარე წელს

მოვიდნენ ჩვენთან სტუდენტები ვ. გუტნოვი, კ. ლეონიძე, ე. მამედოვი, ვ. ლობუანიძე, ნ. ვოლოკოვი და სხვ., რომლებმაც ფიზკულტურის საბჭოსთან ერთად დაუწარმოეს, ცნობილია მათი იშრომეს საგზააფხულო სპარტაკიადის მოწყობა-ჩატარებისას.

საერთო გუნდური პირველობისთვის ბრძოლაში თავიდანვე დაწინაურდნენ სამგზავრო-სავაგონო სამაქროს წარმომადგენლები. მათ სპორტის 6 სახეობაში მოიპოვეს საპრიზო ადგილები და დამსახურებულად დაისაკუთრეს პირველი ადგილი.

ო. თუხარაძე

ოთხი

ბაქოში გაიმართა აზერბაიჯანისა და საქართველოს მოსწავლე-მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა. ბრძოლა ყველა სახეობაში დაძაბულ ხასიათს ატარებდა. ამჯერად ნაჩვენებია იქნა უფრო კარგი შედეგები, ვიდრე გასული ანალოგიური მატჩის დროს. მასპინძელთაგან აღსა-

სამოცდაოთხში საუკეთესო

სამტრედიის დოსაფის სასროლეთზე „კოლმეურნის“ რაისაბჭომ გაიმართა პირად-გუნდური პირველობა წოლელა მდგომარეობიდან ტყვიით სროლაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 64-მა სპორტსმენმა, რომელთა შორის 12 ქალი იყო. პირად ჩათვლაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა დიდი ჯიხაშის ტექნიკუმის მსროლელმა მ. მეზუქემ.

გუნდურ ჩათვლაშიც დიდწიანად მსროლელებს ხელდასრულებდა. მეორე ადგილზე იანეთის საშუალო სკოლის გუნდი, მესამეზე — ბაშის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი.

საპრიზო ადგილებზე გამოსულ სპორტსმენებსა და გუნდებს გადაეცათ „კოლმეურნის“ რაისაბჭოს სიგელები და შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

ჯ. ვაშაქიძე

ასპარეზობენ ხელბურთელები

ბათუმი. (ჩვენი კორ.) აქ ერთ კვირას გრძელდებოდა ქალაქის პირველობის გათამაშება ხელბურთში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის.

ვეთა ტურნირში იბრძოდა 12 გუნდი. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მეხუთეობეთა გუნდისა და ბავშვთა სპორტული სკოლის სპორტსმენებმა. მატჩი მიმდინარეობდა გარდაამავალი უპირატესობით და დამთავრდა მეხუთეობეთა გამარჯვებით — 36:25.

ქალთა გუნდებს შორის ბავშვთა სპორტული სკოლის ნორჩმა ხელბურთელებმა ფინალში დამარცხეს რუსთაფლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივი — 4:1.

ო. შურაანიძე

ნიშნავია ნ. პრიხოდკოს მიხედვით. ამ კაბუტმა რეკორდში 4.850 ქულა დააგროვა. მას არ ჩამორჩა ა. აკოფჯანოვი, რომელმაც სიგრძეზე ხტომაში დაძაბა 6,72 მ. ვ. პალატა პირველი ადგილი მოიპოვა სიმაღლეზე ხტომაში — 190 სმ, რის შემდეგ იეროში მიიტანა ოსტატის ზღვარზე, მაგრამ სამივე ცდა უშედეგოდ დამთავრდა. მხოლოდ მეოთხე, რიგგარეშე ცდით დაძაბა მან 201 სმ.

საქართველოს მოსწავლე მძლეოსანთა მიხედვით დაინახა თბილისელი გოგონას, 16 წლის ვ. ქუთათელაძის (მწვრთნელი ვ. სუხოტინი) მიერ მოპოვებული ორი გამარჯვება. მან 100 მეტრზე რბენაში აჩვენა 12,4 წამი, ხოლო 200 მეტრი 26,8 წამში გაიბრუნა. მოსწავლეთა ვოლგოგრადის საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონმა, ვაგრელმა ნ. ნოვიკოვმა (მწვრთნელი ვ. ივანოვი) არც ამჯერად დათმო პირველობა ბირთვის კერაში — 16,60 მ. მან გაიმარჯვა ბადროს ტყორცაშიც — 48,84 მ. ქუთათელაძე ი. კოხელსკიმ (მწვრთნელი ვ. ალი-


შანოვი) პირველმა დამთავრებულმა 100 მეტრზე — 10,9 და თარჯბენი 110 მეტრზე — 15,8. საკავშირო სპარტაკიადის ჩასათვლელ ნორმატივზე უკეთესი შედეგები აჩვენეს: მ. თათარაშვილმა (გოგონათა შორის) ბირთვის კერაში — 12,71 მ, ჯ. ლონდამ (ქაბუტთა შორის) ბადროს ტყორცაში — 37,60 მ, ა. ჩუნიხინმა (ქაბუტთა შორის) სიგრძეზე ხტომაში — 6,56 მ.

შეჯიბრება დამთავრდა საქართველოს სპორტსმენთა გამარჯვებით. მათ ოთხი ქულით აჯობეს მოწინააღმდეგეს.

ბ. ტახტარაძე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ქულთ...

ალბინიზმი მამაცთა და შეუდრეკელ ადამიანთა სპორტთა, ალბინისტების სახელებს ყოველთვის მოწინებთ იხსენიებენ, რადგან მათ საგმირო საქმეებს მრავალი თეთრად გათენებული ღამე, აურაცხელ სინელისთან ბრძოლა უდევს საფუძვლად. სურათზე ხედავთ ორ მამაც ადამიანს, რომლებიც შეუპოვრად მიიწვივენ შორეული მწვერვალის დასაპყრობად.



ფოტო ლ. დლონისა.

ფელს და გაისად

გამოსაცემად მზადდება ე. ლუკაშვილის „ალბინისტების ჩანაწერები“. იგი მოგვითხრობს საბჭოთა ალბინისტების მამაცობასა და ოსტატობაზე.

მალე გამოვა ა. ჯორჯაძის მეტოღურის სახელმძღვანელო „დერძენი ვარჯიშის თანამედროვე ტექნიკის საფუძვლები“. ამ წიგნში მთავარი ყურადღება ექცევა დაგეგმილი მეტოღური პროგრამების,

ლო ოსტატის — იაშინის, გროშინის, კოპას, გარინჩის, მეტიუხისა და სხვების ცხოვრებას.

ნ. გუგუშვილის წიგნი „ჩვენი ჩემპიონები“ სპორტის მოყვარულები კვლავ შეხვდებიან ქართველ მოკრძავეებს — საბჭოთა კავშირის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს შეეძენება ო. ნოზაძის წიგნი. გამოვა ზ. ჯვებენავას ნარკვევის სახელგანთქმულ ქართველ მოკრძავე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ვახტანგ ზალავაძეც.

ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და XIX საუკუნის სხვა ქართველი მოაზროვნეების შეხედულებებს ფიზიკურ აღზრდაზე. მომავალ წელს გამოვა აგრეთვე საქართველოს სპორტული საზოგადოებისა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თანამდებობის ა. სიხარულიძის წიგნი — „ქართველი სპორტსმენები საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე“.

ნ. ფოცხაძე

სპორტული ღიზინაზიის გამომცემანი

ნორმებისა და ამოცანების თანრიგის სპორტსმენთა მიერ შესრულების საკითხებს.

მომავალი წლისთვის დაგეგმილია რამდენიმე წიგნის გამომცემბა, რომლებშიც მოთხრობილი იქნება საბჭოთა სპორტის ვეტერანებზე.

1965 წლის დასაწყისს გამოვა გ. გამარჯაძის წიგნი „გუნდები და ვარსკვლავები“. იგი მიეძღვნება ფეხბურთის 16 გამაჩენი-

ვარსკვლავებს, რომლებმაც სპორტის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

გამომცემანი „სპორტული ღიზინაზია“ მზარემცოდნობის, მუსიკალური და სპორტული ლიტერატურის რედაქციის გამგეობის ახლად დაარსდა მას სპორტული ლიტერატურის გამოცემის მომავალ გეგმებზე.

წიგნი — თქვა ს. აბულაძემ, — სპორტის მოყვარულებმა მიიღეს ექვსი დასახელების წიგნი. მათ შორისა როგორც მეტოღური, ისე პოპულარული ლიტერატურა. ახლანა ბაზარზე გამოვიდა ა. კუშლუაშვილის მიერ შედგენილი სპორტული მოთხრობების კრებული, რომელიც საბჭოთა სპორტსმენების თავდადებას, მამაცობას, ნებისყოფასა და პატრიოტიზმს ასახავს. კრებულში მოთავსებულია აგრეთვე ბურჟუაზიული სპორტის წინა-ჩვეულებების მამხილებელი მოთხრობები.

უახლოეს პერიოდში მკითხველები მიიღებენ ცნობილი ინდოელი მწერლისა და მონადირის დ. მუკერჯის მოთხრობას „სახელისწერო მძივი“, რომელშიც აღწერილია ინდოელი ხალხის ყოფაცხოვრება, ცხოველთა სამყარო. აგრეთვე მიმზიდველად მოგვითხრობს სპორტზე, ნადირობაზე...

სპორტული ღიზინაზიის გამომცემანი „სპორტული ღიზინაზია“ მზარემცოდნობის, მუსიკალური და სპორტული ლიტერატურის რედაქციის გამგეობის ახლად დაარსდა მას სპორტული ლიტერატურის გამოცემის მომავალ გეგმებზე.

წიგნი — თქვა ს. აბულაძემ, — სპორტის მოყვარულებმა მიიღეს ექვსი დასახელების წიგნი. მათ შორისა როგორც მეტოღური, ისე პოპულარული ლიტერატურა. ახლანა ბაზარზე გამოვიდა ა. კუშლუაშვილის მიერ შედგენილი სპორტული მოთხრობების კრებული, რომელიც საბჭოთა სპორტსმენების თავდადებას, მამაცობას, ნებისყოფასა და პატრიოტიზმს ასახავს. კრებულში მოთავსებულია აგრეთვე ბურჟუაზიული სპორტის წინა-ჩვეულებების მამხილებელი მოთხრობები.

უახლოეს პერიოდში მკითხველები მიიღებენ ცნობილი ინდოელი მწერლისა და მონადირის დ. მუკერჯის მოთხრობას „სახელისწერო მძივი“, რომელშიც აღწერილია ინდოელი ხალხის ყოფაცხოვრება, ცხოველთა სამყარო. აგრეთვე მიმზიდველად მოგვითხრობს სპორტზე, ნადირობაზე...

ოლიმპიური რინგის კონტურები



უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებზე რომში საბჭოთა კავშირის მოკრძავეები ძალზე სუსტად გამოვიდნენ. ევროპის უძლიერესი კოლექტივისგან სამართლიანად მოელოდნენ წარმატებას, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთმა მოკრძავემ — ო. გრიგორიევმა მოიპოვა ოქროს მედალი. კრივის საბჭოთა სპეციალისტებმა რომის ტურნირიდან მეტად საჭირო და დროული დასკვნები გამოიტანეს და მოლოდინს გარდაქმნეს სპორტსმენთა წვრთნის მეთოდში.

შედეგმა სულ მალე იჩინა თავი. ოლიმპიური თამაშების შემდეგ ჩვენს გუნდს არ უშუადა არც ერთი შეხვედრა. 1961 და 1963 წლებში არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები გამოვიდა პირველ ადგილზე კონტინენტის ყველა უძლიერეს კოლექტივს შორის. უკანასკნელ მოსკოვში გამართულ ჩემპიონატში 10 საბჭოთა მო-

კრივე გავიდა ფინალში და ამთავან ექვსმა მოიპოვა ოქროს მედალი. მსგავსი წარმატება ევროპის კრივის ისტორიას არ ახსოვს.

მიმდინარე წელს ტყავის ხელთათმანის საბჭოთა ოსტატებმა წარმატებით დაამთავრეს გამარჯვებათა სათვალავი, მოიპოვეს რა ევროპის პირველი თასი. საბჭოთა კავშირის ნაკრები დღესდღეობით პირველია ევროპაში და ერთერთი უძლიერესი მსოფლიოში.

მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, თითქმის მას გაჩანტირებული აქვს გამარჯვება მომავალ ოლიმპიადში. ტოკიოს ოლიმპიური ტურნირი უდავოდ განსხვავებული შეჯიბრება იქნება სხვა აღრიხედელ ჩემპიონატებთან შედარებით და იმ რატიომ:

მოკრძავეთა ტურნირები უკვე კარგა ხანია, რაც სპრინტერული შეჯიბრებიდან გადაიქცა მარათონულ ასპარეზობად. XV ოლიმპიურ

თამაშებში სპორტსმენები ოქროს მედალებისთვის იბრძოდნენ 6 დღეს, XVI ოლიმპიურ თამაშებში — 8 დღეს, XVII ოლიმპიურ თამაშებში — 12 დღეს, ტოკიოში კი მათ 13 დღის მანძილზე მოუხდებოდა ბრძოლა იმისთვის, რათა მიიღონ ჩემპიონის ოქროს მედალი. ასეთი ხანგრძლივი ტურნირი მოკრძავეს მალე ოსტატობისა და ფიზიკური მომზადების გარდა მოითხოვს ძალის სწორი განაწილების ცოდნას, რაც ჯერჯერობით ჩვენს სპორტსმენებს აკლიათ (საბჭოთა კავშირში მოკრძავეთა შეჯიბრებები, როგორც წესი, 4-6 დღეში მთავრდება).

უარყოფითი გავლენა ექნება ტოკიოს მოკრძავეთა ტურნირზე

იაპონიის ტენიან პაერს და დროის მკვეთრ განსხვავებას, რის გამოც სპორტსმენებს, როგორც წესი, ერღვევათ ძილის რეჟიმი და, აქედან გამომდინარე, ბრძოლისუნარიანობა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია და ამიტომ კრივის საკავშირო ფედერაციამ საკავშირო პირველობის ჩატარება გადაწყვიტა ხაზაროვსკში, რომელიც თავისი გეოგრაფიული პირობებით ახლოს დგას იაპონიასთან.

არ შეიძლება დაევიწყოთ ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეთა სიმდიერე, რადგან ამომავალი მზის ქვეყანაში თავს მოიყარის ტყავის ხელთათმანის ყველა გამოჩენილი ოსტატი. საბჭოთა მოკრძავეების მთავარ კონკურენტებად პირველ რიგში ითვლებიან შეერთებული შტატების სპორტსმენები და იაპონელი მოკრძავეები (მსუბუქ წონებში). უდავოდ ძლიერი შემადგენლო-

ბა ეყოლებათ იტალიასა და პოლონეთს. ექსტრა-კლასის მოკრძავეები იქნებიან წარმომადგენელი იაპონელი მოკრძავეები.

საბჭოთა მოკრძავეები ამჟამად ემზადებიან საკავშირო პირველობისთვის, რომელიც იქნება უკანასკნელი შემოწმება ოლიმპიადის წინ. ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ ვინ მოხვდება ჩვენს ოლიმპიურ ნაკრებში. ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება საკავშირო პირველობის შემდეგ, მაგრამ კანდიდატთა შორის იაპონიაში გამგზავრების ყველაზე დიდი შანსი აქვთ ო. გრიგორიევს (მატჩე წონა), ბ. ლავრენის (პირველი საშუალო წონა) და ვ. პოპენჩენკოს (მეორე საშუალო წონა). მძიმე წონაში ალბათ გამოვა 22 წლის ვ. ემელიანოვი, რომელიც 95 კილოგრამს იწონის.

ნ. გუგუშვილი

ფეხბურთის სხვადასხვა მერიდიანზე

ტოკიოს ოლიმპიადის ირიგვლივ

ახალი ამბების სააგენტო იუწყება

საფეხბურთო მერიდიანზე

დღეს იწყება ტურნირი „სტად ფრანსუა“ ოპრუს თასზე

ფეხბურთის სამყაროში დიდი პოპულარობა მოიპოვეს ხანმოკლე საერთაშორისო ტურნირებმა, სადაც 3-4 გუნდი მონაწილეობს. ასეთ ტურნირებს

მიეკუთვნება პარიზის კლუბ „რესინგის“ თასი ევროპისა და სამხრეთ ამერიკის საუკეთესო გუნდების მონაწილეობით, „კალიქის თასი“, ყოველწლიური საერთაშორისო ტურნირი მილანში და ა. შ.

მიმდინარე წლიდან კიდევ ერთი ასეთი ტურნირი ჩატარდება პარიზში კლუბ „სტად ფრანსუა“ ე. წ. „ოპრუს თასზე“. ამით „სტად ფრანსუა“ ცდილობს კონკურენცია გაუწიოს „რესინგს“.

„სტად ფრანსუა“ წლებადღეობს ტურნირი მოეწყობა წრიული სისტემით 21-26 მაისს. მასში მონაწილეობას მიიღებს „სტად ფრანსუა“, ბრაზილიის ცნობილი კლუბი „სან-პაულო“ და გერმანიის ექს-ჩემპიონი „ბორუსია“.

„სტად ფრანსუა“ წამყვან ფეხბურთელად ითვლება წარსულში განთქმული იუგოსლაველი თავდამსხმელი მ. მილუტინოვიჩი.



დღეს იწყება მონაწილეობის ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში, რომელიც ახლახან შედგა ლისაბონში.

საფეხბურთო მერიდიანზე

„ინგლისური ტიპის“ ცენტრფორვარდის ძიებაში

გამოცხადდა ინგლისის ნაკრების შემადგენლობა, რომელიც ბრაზილიაში გაემგზავრება „ოთხთა ტურნირში“ მონაწილეობის მისაღებად. ესენია: მ. ე. კ. რ. ე. მ. — ბენკსი, უიტიკრსი, მ. ც. ე. ე. ე. — არმფილდი, კონენი, უილსონი, ბ. ტომსონი, ნახევარმცველები — მილნი, მილერი, ნორმანი, მური, ფლაურსი, თავდასხმე-

ლები — ბენი, კანტი, გრიფი, ბირნი, პიკერინგი, ისტკემი, ჩარლტონი, პ. ტომსონი. ინგლისელ მიმომხილველთა აზრით, მეკარეებისა და დაცვითი ხაზების საკითხი გარკვეულია — ისინი აკმაყოფილებენ მოთხოვნებს. იგივე ითქმის ორივე გარემარბის — პეინისა და ჩარლტონის შესახებ. თავდასხმის ცენტრალურ სამე-

ულში არის ორი შესაძლებელი ვარიანტი: ისტკემი — ბირნი — გრიფი და პანტი — პიკერინგი — გრიფი, მაგრამ ორივე ვარიანტს ერთი და იგივე ნაკლი აქვს — არ გააჩნია „ინგლისური ტიპის“ ცენტრალური თავდამსხმელი, როგორც ბიცი იყვენ დრევი, ლაუტონი, ლოფტუსი და ტეილორი, ე. ი. ასოვანი, ათლეტური აღნაგობის ფორვარდები მკვეთრი, ძალის-

მეორე თამაშით, დიდი ენერჯითა და კარში ძლიერი დარტყმებით. ერთი სიტყვით, ინგლისელების იდეალი იყო და რჩება „ტახის“ ტიპის თავდამსხმელი, რომელსაც ფეხბურთის სამყაროში „ინგლისურ ცენტრფორვარდს“ უწოდებენ. მაგრამ მოხდა ისე, რომ ინგლისური ცენტრფორვარდის მოძებნა თვით ინგლისშიც შეუძლებელი გახდა.



დასასრული უფრო ადრე დადგება

ცნობილი ინგლისელი ავტობიოგრაფი დონალდ კემპბელი კატასტროფის შედეგად მეთაურ მოხვდა საავადმყოფოში. მისი ბოლო კემპბელის სისწრაფის აბსოლუტური რეკორდის გაუმჯობესება ჰქონდა განზრახული, მაგრამ არ დასცადა.

ავტობორტს თავს დავანებებ მას შემდეგ, როდესაც, მიაღწევ საათში 1.000-კილომეტრის სისწრაფეს, — განაცხადა სპორტსმენმა რემპორტიორებთან საუბარში.

„თუ კემპბელი ასე ფიქრობს, — წერს გერმანული გაზეთი „ლოიჩეს შპორტ ეხო“, — იგი ნამდვილად ცდება. საეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამ უაზრო შეჯიბრების ფინიში ვაცილებით ადრე დადგება“.

ახალი პროვანსია

ფრანგმა ფიგურისტმა ალენ კალამა გადაწყვიტა სამუდამოდ დაანებოს თავი სპორტს. მას სურს გა-

ღრმად თავისი სამედიცინო ცოდნა. ციგურებით ფიგურულ სრიალში ამიერიდან იგი გამოვა როგორც მსახი.

მახსოვს, თუ რა რაღაც მკაცრად გვეპრობოდნენ მსახიბები. ინკვიზიტორთა მსხვერპლის როლში ყოფნა მომბეზრდა. მეც მსურს გამოვცადო სხვები.

თვითმფრინავით დედაიფის გარჯობა

ამერიკელმა მფრინავმა ქალმა ჯონ მერიამ წარმატებით დაამთავრა დედაიფის გარშემო ფრენა ერთადგილიანი სპორტული თვითმფრინავით. სტარტი და ფინიში მოეწყო ოკლეინში (კალიფორნიის შტატი). მფრინავმა სულ დაფარა 45 ათასი კილომეტრი.

„ვარსკვლავები“ და ლირები

ფინ არ ურეც ხელს იტალიის ფეხბურთში! ამ ქვეყნის კლუბების მეცნიერთა რიცხვში არიან კათოლიკური ეკლესიის მსახურნი და ქალაქის მერები, მრეწველები და პოლიტიკელები.

ამას წინათ „პორიზონტზე“ გამოჩნდა იტალიის საგარეო ვაჭრობის სამინისტრო. მან საფეხბურთო კლუბებს აუკრძალა 5 მილიონ ლირზე მეტის გაღება სხვა ქვეყნების ფეხბურთელთა შესასყიდად, რომელთა სახელმწიფოები არ შედიან ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში. ეს მაშინ, როცა უკანასკნელი წლის განმავლობაში „საფეხბურთო საქონელი“ იტალიას ამარაგებენ არგენტინა, ურუგვაი, ჩილი, ვენეცია, დიდი ბრიტანეთი, რომლებიც არ შედიან ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში.

ამ ქვეყნებში ნაყოფ ფეხბურთელებზე დახარჯულ იქნა ერთ მილიარზე მეტი ლირი!

პრეს-სენსიტივის „პრეპედი ბინაღარნი“

გაზაფხულის ერთ საღამოს ტოკიოს ქუჩებში უჩვეულო პროცესია გამოჩნდა. სამი გვებერთულა გამწვევი ნელა მოათრედა სხვადასხვა სიდიდის მჭიდროდ დახურულ და შეფუთულ ყუთებს. როგორც შემდეგ გამოირკვა, მათში მოთავსებული იყო ამერიკული ელექტროსათვლელი მანქანების კომპანიის ხელსაწყოები. იგი მიქონდათ ოლიმპიური პრეს-სენტრის მიმართულებით. კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ოლიმპიური ინფორმაციები და ოქმები ამ მანქანების დახმარებით ერთ წუთში დამუშავდება.

ამერიკელი ახსენებ „პაპუზს“

ტოკიოში ფრენბურთულ ქალთა ტურნირში ექვსი გუნდი გამოვა: იაპონია, საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, რუმინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და კორეა. თავდაპირველი გადაწყვეტილებით ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა ოლიმპიადაზე უნდა წარმოედგინა ბრაზილიას — პან-ამერიკული თამაშების ჩემპიონს, მაგრამ ბრაზილიის ფრენბურთის ფედერაციამ ფინანსური მოსაზრებებით ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვა. წარმოიშვა თავისებური „კავკუში“, რომელიც უკანასკნელ მომენტში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეავსეს. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ.

ოლიმპიელთა შთამომავლობა

რომის ოლიმპიური თამაშების ცენოსანთა შეჯიბრებებში ოქროს მედალი ავსტრალიელმა ბილ რაიკროფტმა მოიპოვა. წელს იგი ტოკიოში გაემგზავრება 19 წლის ვაჟიშვილთან — ბერისთან ერთად, რომელიც ამას წინათ გახდა ავსტრალიის ჩემპიონი ცენოსნობაში.

ამავე ქვეყნის მოცურავეთა მწვერთელი, რომელმაც არა ერთი და ორი მსოფლიო რეკორდსმენი აღზარდა, ოლიმპიურ თამაშებზე ორი შელის თანხლებით ჩამოვა. ვაჟიშვილი გეირი მონაწილეობას მიიღებს ნიხოსანთა შეჯიბრებებში, ხოლო ქალიშვილი კი — მოცურავეთა ტურნირში.

თავისი მამის, ოლიმპიური თამაშების ოთხგზის მონაწილის კვალს აგრძელებს დიკ ჯერარდტი. მასაც მოუხდება ნიხოსანთა შეჯიბრებაში გამოსვლა.

გეირი პირსა — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის — ბობი პირსის ბიძაშვილი — ავსტრალიის ნიხოსანთა ნაკრები გუნდის ერთ-ერთი წამყვანი წევრია.

სურვილი ყველას აქვს

მომავალ ოლიმპიურ თამაშებში იაპონელებს სურთ მონაწილეობა მიიღონ პროგრამის ყველა სახეობაში (სრული გუნდით). ოლიმპიადის მასპინძელთა დელეგაცია დაკომპლექტებული იქნება 300-ზე მეტი სპორტსმენით. ადგილობრივმა ეროვნულმა კომიტეტმა შექმნა სპეციალური ქვეკომიტეტი, რომელიც ხელმძღვანე-

47-ე „ჯირო დ'იზალია“

16 მაისს ქალაქ ბოლცანოში (იტალია) სტარტი მიეცა პროფესიონალ ველომობლობა ტრადიციული რბოლის „ჯირო დ' იტალიას“, ეს შეჯიბრება პირველად 1909 წელს ჩატარდა. წლებადღეობს გელომობლობა რბოლა 47-ეა. სპორტსმენებს გასავლელი აქვთ 4100 კილომეტრი. აღსანიშნავია, რომ 22-ეტაპიან ველომობლობაზე გამოყოფილი მხოლოდ ერთი დასვენების დღე, მე-17 ეტაპის შემდეგ.

პირველი ეტაპი გასულია. წლის ჩემპიონმა ე. ადარნიმ მოიგო. მეორე ეტაპზე ლიდერის წითელი მაისური დანჩის გადგა. ლიდერისთვის არასახარბიელო გამოდგა მე-10 ეტაპი ბერგნო — სან-პაულეჩიო (193 კმ). იგი მე-12 ადგილზე გამოვიდა. ეტაპი მოიგო ნაულეზად ცნობილმა სპორტსმენმა ბიტონიმ. რბოლის ლიდერი გახდა ენცო მოზერი, რომელიც მესამე ეტაპის ფინიშთან შეეცა იყო. მოხერმა შეინარჩუნა ლიდერობა მეოთხე ეტაპის შემდეგაც (ეტაპი მოიგო ე. ტაკონემ).

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპრეშების ათეტი — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

რედაქტორი მ. პაპაზაძე.

23-24 მაისს

ქუთაისში

ჩატარდება საპარტოვლოს პირადად-გუნდური პირველობა კლდეზე ცოცხაში.

დასაწყისი 10 საათზე.